საქართველო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

N 27 10

27/05/2020

ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ვანშითავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 9 კვმ ფართის სსიპ ,,საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია"-სთვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მეორე პუნქტის და 122-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს (ა.გოგორიშვილს) ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 9 კვმ ფართის სსიპ ,,საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია"-სთვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე.
2. ვანის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს აღნიშნული უძრავი ნივთის გადაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე